

**ნინო (ნუცა) კობაიძე,**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი  
მარინე (მაკა) ვასაძე

## **ვიტოლდ გომბროვიჩი - ივონა ბურგუნდიის პრინციესა**

### **რეზიუმე**

ვიტოლდ გომბროვიჩის, ნამუშევრები ხშირად ეწინააღმდეგება ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმებს, მისი უნიკალური სტილი აერთიანებს ფილოსოფიურ კვლევას სატირასთან და იუმორთან. გარდა ლიტერატურისა, გავლენა დიდი აქვს თეატრსა და ფილოსოფიაზე. მიუხედავად თავდაპირველი დაპირისპირებისა და კრიტიკისა, გომბროვიჩის ნაწერებმა აღიარება მოიპოვა ინოვაციური მიდგომებით და ადამიანის ღრმა შესწავლით. ვიტოლდ გომბროვიჩის ნამუშევრები, განსაკუთრებით მისი პიესები და რომანები, ხშირად განიხილება პოსტდრამატული ლიტერატურისა და თეატრის კონტექსტში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მე-20 საუკუნის ლიტერატურაში.

პოსტდრამატული ლიტერატურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მრავალმხრივი პერსპექტივის წარმოჩენა. გომბროვიჩი იყენებს ამ ტექნიკას თავის პიესებში, ქმნის მოზაიკას, რომელიც არღვევს პერსონაჟების სტაბილურობას.

პოსტდრამატული ტენდენციები მაყურებელთან მის ინტერაქციამდე ვრცელდება, იწვევს აქტიურ ჩართულობას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განვითარებულ მოვლენებს. გომბროვიჩის ერთგულება პოსტდრამატული პრინციპისადმი მის თეატრალურ სიახლეებში აისახება. კონვენციების დარღვევით და დადგენილი ნორმების უგულებელყოფით, ის გარდაქმნის სცენას დინამიკურ სივრცედ, სადაც ტრადიციული საზღვრები იკვეთება და ხელახლა განისაზღვრება.

„ივონა ბურგუნდიის პრინციესა“ ძალიან კარგი მაგალითია პოსტდრამატული ელემენტების შესასწავლად. აბსურდის, არაწრფივი თხრობისა და მრავალმხრივი პერსპექტივების საშუალებით, გომბროვიჩი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოსტდრამატული ლიტერატურის ევოლუციას. არსებითად, გომბროვიჩის აბსურდის, ფრაგმენტაციისა და პერსპექტივების სიმრავლის კვლევა მის ნაწარმოებებში ემთხვევა პოსტდრამატულ მოძრაობას. მისმა ინოვაციურმა

თხრობის ტექნიკამ ხელი შეუწყო ციული დრამატული ფორმებისგან ლიტერატურისა და თეატრის უფ- დაშორებით.  
რო ფართო ევოლუციას ტრადი-

**საკვანძო სიტყვები:** ვიტოლდ გომბროვიჩი, პოსტდრამატული თეატრი, იკონა ბურგუნდიის პრინცესა

პროზაიკოსის, დრამატურგის, ესეისტის, ვიტოლდ გომბროვიჩის (04.08.1904, პოლონეთი), ნამუშევრები ხშირად ეწინააღმდეგება ტრადიციულ ლიტერატურულ ნორმებს, მისი უნიკალური სტილი აერთიანებს ფილოსოფიურ კვლევას სატირასთან და იუმორთან. გარდა ლიტერატურისა, გავლენა დიდი აქვს თეატრსა და ფილოსოფიაზე. მიუხედავად თავდაპირველი დაპირისპირებისა და კრიტიკისა, გომბროვიჩის ნაწერებმა აღიარება მოიპოვა ინოვაციური მიდგომებით და ადამიანის ღრმა შესწავლით. ვიტოლდ გომბროვიჩის ნამუშევრები, განსაკუთრებით მისი პიესები და რომანები, ხშირად განიხილება პოსტდრამატული ლიტერატურისა და თეატრის კონტექსტში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მე-20 საუკუნის ლიტერატურაში.

1933 წელს გამოქვეყნდა თხზულებების კრებული „მომწიფების პერიოდის მემუარები“, რომელსაც კრიტიკა ძალიან ცივად შეხვდა. შემდეგმა პუბლიკაციამ („ფერდიდურკამ“) კი – პირველი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. რომანი არის თავისუფლების დაკარგვის, საზოგადოების მოლოდინების, გეწოლის სატირული და სიურრეალისტური გამოკვლევა.

1938 წელს გამოქვეყნდა გომბროვიჩის პირველი არატრადიციული, ავანგარდული დრამატული ნაწარმოები „იკონა, ბურგუნდიის პრინცესა“, სადაც მწერალმა გააერთიანა გროტესკი, ტრაგიფარსი და პაროდია. პიესა შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ 1950-იან წლებში დაიდგა პირველად პოლონეთში და მას შემდეგ არ ჩამოდის სცენიდან. გადაითარგმნა 16 ენაზე და დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო თეატრის რეპერტუარში.

პოლონეთში ფაშისტური გერმანიის შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე გომბროვიჩი არგენტინაში გაემგზავრა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა, აღარ დაბრუნებულიყო სოციალისტურ პოლონეთში, სადაც მის შემოქმედებას 1950-

იანი წლების შუამდე კრძალავდნენ. 1953 წელს დაიწყო პოლონურ ენაზე მოკლე ესეების წერა, რომელსაც ეჟი გედროიცის მიერ შექმნილ პარიზის გამომცემლობა „კულტურაში“ ბეჭდავდა. მოგვიანებით ეს ჩანაწერები სამტომეულად გამოიცა, სახელწოდებით „დღიური“. ეს არის აზრები, დაკვირვებები და რეფლექსია ლიტერატურაზე, კულტურასა და ცხოვრებაზე. მწერლის სამშობლოში „დღიური“ 1986 წელს გამოქვეყნდა. ნაწარმოებების მრავალრიცხოვანმა თარგმანმა და პიესების დადგმებმა 1960–იან წლებში საერთაშორისო აღიარება მოუტანა გომბროვიჩს.

რომანი „ტრანს-ატლანტიკის“<sup>1</sup> (1953) ინსცენირება დაიდგა პარიზში და კრიტიკის მოწონება დაიმსახურა. ეს არის ნახევრად ბიოგრაფიული რომანი; უფრო სწორად, ეს არის სატირული, ავანგარდული ნარატივი, რომელიც იკვლევს ისტორიისა და კულტურის იდენტობის თემებს. იგი აერთიანებს ავტობიოგრაფიის, პაროდისა და მითის ელემენტებს. „ტრანს-ატლანტიკი“ ასახავს გომბროვიჩის გამორჩეულ თხრობის სტილს და სხვადასხვა ლიტერატურულ ფორმათა შერწყმის უნარს.

პიესა „ივონა, ბურგუნდიის პრინცესა“ მრავალჯერ დაიდგა სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაში. შვედმა რეჟისორმა ინგმარ ბერგმანმა, რომელიც ცნობილია თავისი გავლენიანი წვლილით კინოსა და თეატრში, თავისი უნიკალური ინტერპრეტაცია შემატა გომბროვიჩის პიესას და გაამრავალფეროვნა სპექტაკლი (სტოკჰოლმი).<sup>2</sup> ამავე პიესის დადგმის გამოწვევა ნორვეგიელმა თეატრის რეჟისორმა ალფ შობერგმაც მიიღო და აჩვენა გომბროვიჩის ნამუშევრების ადაპტირება სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში. ესპანელ დრამატურგსა და რეჟისორ ხორხე ლავილას თავისი წვლილი მიუძღვის კონკრეტული პიესის საერთაშორისო დადგმაში. გერმანელმა კომპოზიტორმა ბორის ბლახერმა და ბელგიელმა კომპოზიტორმა ფილიპ ბუსმანმა გომბროვიჩის პიესის მიხედვით – „ივონა, ბურგუნდიის პრინცესა“ შექმნეს ოპერები. სპექტაკლის ეს ტრანსფორმაცია საოპერო ფორმაში მეტყველებს მის მომხიბლავ ადაპტირებაზე სხვადასხვა მხატვრულ გამომსახველობაში. თანამედროვე და ინოვაციური მიდგომებით გამოირჩეოდა ალა სიგალოვასა და ვლადიმერ მირზოევის დადგმები რუ-

<sup>1</sup> Atlantyck, Gombrowicz.

<sup>2</sup> Yvonne, Princess of Burgundy.

სულ თეატრში. ვიტოლდ გომბროვიჩის პიესა „ივონა, ბურგუნდიის პრინცესა“ მრავალჯერ შეასრულეს სხვადასხვა რეჟისორებმა და კომპოზიტორებმა. ამ ადაპტაციებმა არა მხოლოდ შეინარჩუნა გომბროვიჩის მემკვიდრეობა, არამედ მრავალფეროვნება შემატა გლობალურ თეატრალურ სცენას. პიესის უნივერსალურმა თემებმა საშუალება მისცა მას გამხდარიყო მსოფლიო თეატრალური რეპერტუარის მნიშვნელოვანი და მუდმივი ნაწილი.

„ივონა, ბურგუნდიის პრინცესაში“ ცენტრალური ადგილი უკავია აბსურდის ღრმა კვლევას, გომბროვიჩის შემოაქვს უცნაური და ალოგიკური ელემენტები, გამოხატავს მძაფრ კავშირს ეგზისტენციალურ თემებთან. კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ არსებობის არსს, უბიძგებს პერსონაჟებს, შეებრძოლონ ადამიანის ცხოვრების გაურკვევლობასა და სირთულეებს. გომბროვიჩი იყენებს არატრადიციულ ნარატიულ სტრუქტურებს. მისი პიესები მოიცავს ფრაგმენტაციას და დისლოკაციას, ქმნის არაპროგნოზირებადობის განცდას და აუდიტორიას მოვლენებში აქტიურ მონაწილეობას აიძულებს.

პოსტდრამატული ლიტერატურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მრავალმხრივი პერსპექტივის წარმოჩენა. გომბროვიჩი იყენებს ამ ტექნიკას თავის პიესებში, ქმნის მოზაიკას, რომელიც არღვევს პერსონაჟების სტაბილურობას. პოსტდრამატული ტენდენციები მაყურებელთან მის ინტერაქციამეც ვრცელდება, იწვევს აქტიურ ჩართულობას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განვითარებულ მოვლენებს. გომბროვიჩის ერთგულება პოსტდრამატული პრინციპისადმი მის თეატრალურ სიახლეებში აისახება. კონვენციების დარღვევით და დადგენილი ნორმების უგულვებელყოფით, ის გარდაქმნის სცენას დინამიკურ სივრცედ, სადაც ტრადიციული საზღვრები იკვეთება და ხელახლა განისაზღვრება.

„ივონა ბურგუნდიის პრინცესა“ ძალიან კარგი მაგალითია პოსტდრამატული ელემენტების შესასწავლად. აბსურდის, არაწრფივი თხრობისა და მრავალმხრივი პერსპექტივების საშუალებით, გომბროვიჩი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოსტდრამატული ლიტერატურის ევოლუციას. არსებითად, გომბროვიჩის აბსურდის, ფრაგმენტაციისა და პერსპექტივების სიმრავლის კვლევა მის ნაწარმოებებში ემთხვევა პოსტდრამატულ მოძრაობას. მისმა ინო-

ვაციურმა თხრობის ტექნიკამ ხელი შეუწყო ლიტერატურისა და თეატრის უფრო ფართო ევოლუციას ტრადიციული დრამატული ფორმებისგან დაშორებით.

### ივონა, ბურგუნდიის პრინცესა<sup>3</sup>

პიესაში „ივონა, ბურგუნდიის პრინცესა“ გომბროვიჩმა ახლებურად გაიაზრა „კონკიას“ ცნობილი სიუჟეტი და შექმნა პიესა, რომელშიც გააერთიანა მისთვის საყვარელი ჟანრები – გროტესკი, ტრაგიფარსი და პაროდია. გომბროვიჩმა ზღაპრის ფორმით გადმოსცა ხელისუფლების სისასტიკე, ძლიერი ხალხის უნარი – განადგუროს თავისზე სუსტი, არა იმიტომ, რომ იგი რამეს აშავებს, არამედ უბრალოდ, უსაქმურობის გამო, გართობის მიზნით.

ბურგუნდიის სამეფო ოჯახის მემკვიდრე პრინცი ფილიპი სეირნობისას შეხვდება გოგონას, რომელიც არავის ჰგავს, უცნაურად იქცევა და თითქმის არ ლაპარაკობს. ფილიპი გადაწყვეტს აჩვენოს გაკვეთილი თავის ქარაფშუტა მეგობრებს – „თუ როგორ უნდა ხუმრობა“, და საცოდავ შეუხედავ, ავადმყოფ გოგონას გამოაცხადებს თავის საცოლედ. ივონა მალე იქცევა პრინცის მშობლების, სამეფო კარის მომსახურე პერსონალის, საქმროს მეგობრებისა და ბოლოს პრინცის სიძულვილის საგნად. მისი დაუცველობა იწვევს გარემომცველების აგრესიას, მისი შეუხედაობა – სისასტიკის პროვოცირებას, ხოლო მისი მუდმივი მდუმარება არის გზა სიკვდილისკენ. მეფეს უნდა საძულველი სარძლოს დახრიობა, დედოფალს – მისი მოწამვლა. თვითონ პრინცი თავის მეგობრებთან ერთად დანით და ნაჯახით შეიარაღებული ყარაულობს ივონას, საძინებლის კართან. ბოლოს, მსახური ივონას პატივსაცემად საზეიმო სადილის დახვეწილ გეგმას მოიფიქრებს. ძირითად კერძად აირჩიეს კარჩხანა, რომლის ფხაც თუ გადასცდა ადამიანს, მაშინვე კლავს. ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფურად მორიდებული ივონა აუცილებლად დაიხრჩობა, მით უფრო, როცა მისი თევზის ყურებას დაიწყებს მთელი სამეფო კარი.

სისასტიკის თემაზე აგებული ეს პიესა ბევრი მსჯელობის საშუალებას გვაძლევს. პირველ რიგში – რატომ შეიძლება იწვევ-

<sup>3</sup> Гомбрович, Ивонна, бургундская.

დეს ადამიანებში ამხელა აგრესიას უსუსური, დაუცველი ადამიანი, რომლის არსებობა უმნიშვნელო და შეუმჩნეველია. ნუთუ ამ მდგომარეობით შეიძლება სხვაში სინდისის ქენჯნა გააღვიძო და ვინმეს დაანახო, რა ადამიანები არიან ისინი? შეიძლება მოვლენებმა შემდგომ ზუსტად იგივე განვითარება პოვონ, რაც ივონას შემთხვევაში და დადგეს განაჩენი – სიკვდილი.

როცა თევზი, ჩიტი ან ცხოველი არ ჰგავს სხვებს, მას აუცილებლად ანადგურებენ მეზობლები. ყვავები აუცილებლად ჩაუნისკარტებენ თეთრ ყვავს... გომბროვიჩის ფილოსოფიურ იგავს ეს გუნდური კანონები ადამიანთა საზოგადოებაში გადმოაქვს. მოქმედების ადგილი არის ყველგან, მოქმედების დრო – ყოველთვის.

„მისი პიესა აგებულია როგორც ჭადრაკის ეტიუდი, რომელშიც სვლების ზუსტ რაოდენობას მივყავართ შამათის გამოცხადების გარდაუვალობამდე“<sup>4</sup> – იერჟი გიდროიცი (Jerzy Giedroyc – პოლონელი მწერალი და რედაქტორი).

პიესის დადგმისას მთავარია გარკვევა, თუ ვინ არიან მეფე და პრინცი, ვინ არის პრინცესა – რა შეუთავსებლობაა სოციუმსა და ე.წ. აუტსაიდერს შორის, რას ნიშნავს მათი შეხვედრა და რას – მთავარი გმირის სიკვდილი.

როგორც ვხედავთ, ვიტოლდ გომბროვიჩის პიესა ერთგვარი იგავის ხასიათს იძენს და ყველა ეპოქისათვის აქტუალურია. რა არის ის ძირითადი მიზეზი, რამაც ამ პატარა ნაწარმოებს ასეთი ბედი არგუნა? ვფიქრობთ, გომბროვიჩმა ადამიანის ბუნების, მისი ქცევის ირაციონალური და, ამავე დროს, არქექტიპული მოდელი გამოკვეთა. რაც უფრო მეტად ვულრმავდებით გომბროვიჩის აბსურდს, სადაც ადამიანთა ქცევას, ერთი შეხედვით, მოტივაცია არ აქვს, მით უფრო მეტად ვგრძნობთ იმ თანშობილ სისასტიკეს, დაუნდობლობას, რომელიც ასე ხშირად იჩენს თავს ადამიანთა შორის ურთიერთობებში და ზოგჯერ გაუგონარ მასშტაბებს აღწევს.

ივონას მიმართ სისასტიკისა და სიძულვილის ატმოსფერო სუფევს. გომბროვიჩი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ეს ხვედრი მას დაბადებიდანვე დაჰყვა. პირველად გოგონას პიესაში დეიდების თანხლებით ვხვდებით. ისინი საჯარო სეირნობის ადგილას მოდიან, სადაც ამ დროს სამეფო კარი და მისი დიდებულები მზის ჩასვლით ტკბებიან. უფლისწული ფილიპი სეფექალ იზას ეპრანტე-

<sup>4</sup> Giedroyc, Smith, as quoted, Exploring, 2020, p. 45.

ბა. ახალგაზრდები მოსეირნეებს ათვალეირებენ და ერთობიან. ამ დროს გამოჩნდებიან ივონა და მისი დეიდები. ისინი მაშინვე მიიპყრობენ ახალგაზრდა დიდებულთა ყურადღებას. გომბროვიჩი ივონას პრაქტიკულად არ ახასიათებს, ეს პიესის ყველაზე მდუმარე პერსონაჟია, მას სულ რამდენიმე უმნიშვნელო რეპლიკა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი გარემომცველთა ქცევით უფრო ახასიათებს ივონას, ვიდრე პერსონაჟის თვითგამოვლენით. ვფიქრობ, დრამატურგის ისტორიაში, ივონა ერთ-ერთი ყველაზე გამოუცნობი პერსონაჟია. ჩვენ არ ვიცით, ლამაზია ის თუ უშნო, ბრაზიანი თუ მშვიდი. ერთი რამ ცხადია, ის კლასიკური მსხვერპლია, რადგან გარემომცველებში უსაგნო და უსაზღვრო აგრესიას იწვევს. ეს პირველივე სცენაში თვალსაჩინოა. ივონასთან ერთად სკამზე მჯდარი დეიდები ბაღში ახალგაზრდებს შენიშნავენ და ივონას ეუბნებიან, რომ გაუღიმოს მათ. ივონა უსიტყვოდ ემორჩილება უფროსებს, თუმცა მაინც იწვევს დეიდების უსაზღვრო გულისწყრომას.

„II დეიდა: რატომ ასე დუნედ? შვილიკო, რატომ ილიმები ასე დუნედ?... გუშინაც არ გაგიმართლა. დღესაც არავინ გაქცევს ყურადღებას. ხვალაც არავინ შემოგხედავს. ძვირფასო, რატომ ხარ ასეთი შეუხედავი? რატომ ხარ ასეთი ასექსუალური? არავის უნდა შენი ცქერა. ნამდვილი წყევლაა!

I დეიდა: ჩვენ მთელი დანაზოგი დაგახარჯეთ, უკანასკნელ გროშამდე, რომ შენთვის ეს ყვავილებიანი კაბა შეგვეკვთა. ჩვენ მიმართ პრეტენზია ვერ გექნება“.

თუ დავუკვირდებით, ეს ტრივიალური საუბარი ნამდვილი ფარული ძალადობის დემონსტრაციაა. გომბროვიჩი საყოფაცხოვრებო სცენას დრამატულ და, ამავე დროს, ირონიულ ჟღერადობას აძლევს. ეს დეიდები ივონას ჯალათებად გვევლინებიან. მათი საუბრის მანერა თავის თავზე მეტყველებს, ეს გესლისა და სიტკბოს საძაგელი ნაზავია. გოგონას შეუხედავს უწოდებენ, ზრუნვას ამადლიან და, ამასთან, „ძვირფასოს“ და „შვილოს“ ეძახიან. ეს პატარა სცენა ჩვენს წარმოსახვას საკვირველ საზრდოს აძლევს. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი გაუთხოვარი დეიდა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ბედნიერების ფუჭ მოლოდინში გაატარეს. შესაძლოა, ივონა მათი გარდაცვლილი დის ობოლი შვილია. დეიდები თავს კეთილშობილ მოამაგებად თვლიან და უბოძოდ

ამადლიან გოგონას მასზე დახარჯულ ფულსა და დროს. მათი განუხორციელებელი სურვილებით გამოწვეული აგრესია ივონას ყოველდღიურად, ყოველწამიერად ეფრქვევა თავს. მაგრამ პარადოქსების მოყვარული გომბროვიჩი რეალისტური სურათის ფარგლებს დაუყოვნებლივ არღვევს. ივონას ახალგაზრდები შეამჩნევნენ. იწყება მოქმედების აბსურდული განვითარება. ივონას პირველად პრინც ფილიპის მეგობარი კიპრიანი შეამჩნევს. – აი, მახინჯიც ასეთი უნდა, – კვდება ის სიცილით. – გაწუწული ქათამი, შეხედე, თავსაც იფასებს!

ახალგაზრდათა ჯგუფი სიცილ-ხარხარით იწყებს ივონასა და მისი დეიდების სიახლოვეს „დეფილირებას“. კიპრიანი: – მტირალა! ... მოდი, სერი ვაჩვენოთ! კირილი: მართლაც კარგი იქნება, რომ ამ გაბუთულ მტირალას ჭკუა ვასწავლოთ! ეს ჩვენი წმინდა ვალია! წადი და მოგყვებით!

დეიდების უკმაყოფილება პიკს აღწევს, ისინი ახალი ძალითა და მრისხანებით შეუტევენ ივონას:

II დეიდა: ამის გამო ყველა მხოლოდ დაგვცინის! ღვთის სასჯელია ნამდვილი! ვფიქრობდი, მოხუცებულობის ჟამს მაინც აღარ მექნებოდა დაცინვის შიში, როდესაც ჩემს ქალურ იმედგაცრუებებს ბოლო მოეღებოდა. მაგრამ დავბერდი და შენ გამო ამის ატანა მაინც მიწევს!

დეიდის სიტყვები ერთ საინტერესო გარემოებას ავლენს – ივონას დეიდებსაც დასცინოდნენ ოდესღაც, თუმცა ამას ბოლო არასოდეს მოეღება. აქ გომბროვიჩი ადამიანთა ურთიერთობების ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ავლენს: ერთმანეთის მიმართ შიშს და მსხვერპლად ქცევის მოლოდინს. დეიდების ბრალდებები ივონას მიმართ სულ უფრო აბსურდული, უმოტივო და ულმობელი ხდება: – რატომ არავის აინტერესებ? განა ჩვენ ეს გვსიამოვნებს? ჩვენ მთელი ჩვენი ქალური პატივმოყვარეობა შენში ჩავდეთ, შენ კი... რატომ არ სრიალებ თხილამურით? გომბროვიჩის პიესის გენიალობა იმაშია, რომ ის აბსურდულსა და ფანტასტიკურ სიუჟეტში ღრმა ფსიქოლოგიურ სიმართლეს, ყოველდღიური ცხოვრების რეალისტურ პრობლემემატიკას წარმოაჩენს.

გომბროვიჩის თავისი პიესა ფანტასტიკად არ მიაჩნდა. ტექსტის შენიშვნებში ის წერდა: „ყველაზე უცნაური სცენები რეალისტურად უნდა იყოს ნათამაშები. პიესის გმირები სრულიად ნორმა-



ლური ადამიანები არიან, რომლებიც უბრალოდ არანორმალურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.“ პიესა, რომელიც 70 წლის წინ დაიდგა, დღესაც მრავალი რეჟისორისთვის რეფორმატორის სახელის მოხვეჭის საფუძველს წარმოადგენს. საიდუმლოება, როგორც უკვე ვთქვით, თავად პიესაშია. გომბროვიჩი აბსურდის თეატრს უახლოვდება, თუმცა ეს რეალური სიტუაციის აბსურდია. მიუხედავად ამისა, მაინც ღიად რჩება საკითხი უფლისწულ ფილიპის შესახებ, რომელიც პარადოქსულ გადაწყვეტილებას იღებს. ივონას დაცინვისა და აბუჩად აგდების შემდეგ, უფლისწული უეცრად გადაწყვეტს, რომ ამ უცნაურ, უენო და მოუხერხებელ ქმნილებაზე დაქორწინდეს. ის ივონას დეიდებს გამოელაპარაკება. დეიდები ჩივიან, რომ ივონას რაღაც ორგანული ავადმყოფობა აწუხებს: სისხლის მიმოქცევა აქვს დუნე. ზამთარში შუბდება, ზაფხულში იხუთება, შემოდგომაზე მუდმივი სურდო აქვს, ხოლო გაზაფხულზე თავის ტკივილები აწუხებს.

პრინცი ფილიპი სრულიად ალტყინებულია ივონას ორიგინალურობით. მას აქამდე ასეთი არაფერი უნახავს. ივონა პრინცში უცნაურ სურვილებს აღძრავს. პრინცი: იცით, როცა გიყურებთ, ერთი სული მაქვს, რამე დაგმართოთ. მაგალითად, ავილო საბელი და წინ გაგიგდოთ, ან რძე გაზიდვინოთ, ან ქინძისთავით დაგჩხვლიტოთ, ან გამოგაჯავროთ. თქვენი მთელი იერი მალიზიანებს, თქვენ წითელი ნაჭერივით იწვევთ ადამიანს. დიახ! არსებობენ ადამიანები, რომლებიც იმისთვის არიან შექმნილნი, რათა სხვები წყობილებიდან გამოიყვანონ, გააღიზიანონ, გააგიჟონ. ასეთი ადამიანები არსებობენ და თითოეული მათგანი ერთ კონკრეტულ ადამიანზე ზემოქმედებს. ოჰ, როგორ ზიხართ, როგორ ამოძრავებთ თითებს, როგორ აქანავებთ ფეხს! გაუგონარია! დაუჯერებელია! როგორ ახერხებთ ამას?... როგორ დუმხართ! როგორ დუმხართ! და ამ დროს რა ნაწყენი სახე გაქვთ! არაჩვეულებრივად გამოიყურებით – შეურაცხყოფილ დედოფალს ჰგავხართ! სავსე ხართ მრისხანებითა და წყენით – ოჰ, რამდენი ღირსების გრძნობა და პრეტენზიაა თქვენში! არა, ნამდვილად ჭკუას მაკარგვინებთ! ყველას ჰყავს თავისი არსება, რომელსაც ის ციებ-ცხელებამდე მიჰყავს, თქვენ სწორედ ასეთი არსება ხართ, ჩემთვის შექმნილი! და თქვენ ჩემი იქნებით!

უფლისწულ ფილიპის ეს სასიყვარულო პასაჟი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ემოციებსა და ურთიერთგამომრიცხავ გრძნობებს შეიცავს. ის აშკარად ეროტიკული ხასიათისაა, ივონა ის არსებაა, რომელზედაც მას დომინირების სურვილი გაუჩნდა, სურს, რომ შებორკოს, დაჩხვლიტოს, ტკივილი მიაყენოს, ამასთანავე, ის აღფრთოვანებულია მისი ღირსებით, მისი ინდივიდუალობით, ექსცენტრულობით, სისაწყლით. ყველაფერი ივონაში აღაგზნებს და აღაფრთოვანებს ფილიპს. შეიძლება ითქვას, რომ პიესის ამ პასაჟში და მთელ პიესაში სისასტიკის ეროტიკული ასპექტიც შემოდის. ივონა აგრესიულ სურვილთა პროექციის ობიექტია. ამ პატარა საწყალ გოგონას საოცარი უნარი შესწევს, მის გარემომცველ ადამიანებში ყველაზე ფარული, ბნელი და განდევნილი ზრახვები გააღვიძოს, ამასთან, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მძაფრ სინდისის ქენჯნასაც იწვევს.

ივონა XX საუკუნის დრამატურგიის ერთ-ერთ უნივერსალურ ნიშან-სიმბოლოდ მესახება, ის თითქოს არც კი არსებობს პიესის ტექსტში პირდაპირი აღწერისა თუ თანამონაწილეობის სახით, ამასთან, ყველაფერი მის ირგვლივ ბრუნავს. ის თითქოს წინააღმდეგობათა ერთიანობაა, სიმდაბლისა და ამაღლებულის სიმბიოზი, წმინდანი და მსხვერპლი, ეროტიკულ სურვილთა სამიზნე და ადამიანთა ფარული სახის გამომააშკარავებელია.

პრინც ფილიპის ივონათი გატაცება გამომწვევია, პარადოქსული, სპონტანური. ის ერთგვარ პროტესტსაც წარმოადგენს, მიმართულს სამეფო კარის ეტიკეტისა და ქედმაღლობის, მისი მეგობრების სნობიზმის წინააღმდეგ. პიესა ამ სახეთა ამოუწურავი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამიტომაც დღემდე დიდ ინტერესსა და მისი დადგმის სურვილს იწვევს.

ზემოგანხილული პიესა, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაწერილია ყოფის განთავისუფლების შესახებ თეატრალურობისაგან“, აგრეთვე, პიროვნების ამაო ამბობზე შემოტყველი სქემის წინააღმდეგ. გომბროვიჩის შემოქმედება არის მაგალითი ყოვლისმომცველი გროტესკისა და პაროდის, მასში მულავნდება სიურრეალიზმთან მსგავსება როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, თუმცა თვითონ მწერალი ყოველთვის დამცინავად ემიჯნებოდა ხელოვნებაში ჯგუფურ აქტიურობას. გომბროვიჩის პოეტური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ინტელექტუალური

პროვოკაცია და სკანდალი, ყოველ მსჯელობას იგი მოსავს წინააღმდეგობებით, ახდენს მაყურებლის მისტიფიცირებას, ძირავს მას აბსურდში, მისი კომპლექსებითა და სტერეოტიპებით დამძიმებული გმირების ფსიქიკა იტოტება და ტრანსფორმირდება,<sup>5</sup> სამყარო მათი თვალით ნაჩვენები კოლაჟით არის შეწებებული. წერის რეცეპტი გომბროვიჩის მიხედვით ასეთია – „შედი სიზმრის სფეროში“ და მიუშვი ნაწარმოები განვითარდეს „თავისი საკუთარი ლოგიკით“. მიჰყვება რა სიზმრის კანონებს, მწერალი მითებსა და „კაცობრიობის ღამეული სიზმრების“ სიმბოლოებში ეძებს ეგზისტენციალური პრობლემების განმარტებას.

#### ბიბლიოგრაფია:

- Trans-Atlantyk — Witold Gombrowicz; <https://biblioklept.org/2011/10/10/trans-atlantyk-witold-gombrowicz/>
- Yvonne, Princess of Burgundy; <https://www.ingmarbergman.se/en/production/yvonne-princess-burgundy>
- Гомбрович Витольд, Ивонна, принцесса бургундская; [https://royallib.com/book/gombrovich\\_vitold/ivonna\\_printsessa\\_burgundskaya.html](https://royallib.com/book/gombrovich_vitold/ivonna_printsessa_burgundskaya.html)
- Jerzy Giedroyc, as quoted in John Smith, „Exploring the Works of Witold Gombrowicz“, Literary Criticism Quarterly (New York: ABC Publishing, 2020), p. 45.
- Базилевский А., „Дневник“ Витольда Гомбровича: „неслово, аголос“, Привычное ощущение кризиса; [https://journals.kantiana.ru/upload/iblock/e18/%D0%9C%D0%B0%D0%BB%D1%8C%D1%86%D0%B5%D0%B2\\_303-311.pdf](https://journals.kantiana.ru/upload/iblock/e18/%D0%9C%D0%B0%D0%BB%D1%8C%D1%86%D0%B5%D0%B2_303-311.pdf); <https://biblioklept.org/2011/10/10/trans-atlantyk-witold-gombrowicz/>

---

<sup>5</sup> Базилевский, Гомбровича, неслово.

## **THEATROLOGY**

**Nino (Nutsa) Kobaidze,**

Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

Ph.D. Student

Supervisor – Associate Professor Marine (maka) Vasadze

## **WITOLD GOMBROWICZ – YVONNE PRINCESS OF BURGUNDY**

**Key Words:** *Witold Gombrowicz, post-dramatic theatre, Yvonne Princess of Burgundy*

### **Abstract**

Witold Gombrowicz's legacy challenges traditional norms, blending philosophical inquiry with satire and humor, influencing not only literature but also theater and philosophy. Despite facing initial controversy, his innovative works have garnered recognition for their profound exploration of human nature. Particularly acclaimed are Gombrowicz's plays and novels, which are frequently examined within the framework of post-dramatic literature and theater, signifying his substantial impact on 20th-century literature.

Gombrowicz's plays exhibit a hallmark of post-dramatic literature: the presentation of multiple perspectives. Through this technique, he constructs a mosaic that challenges the stability of characters, inviting the audience to engage actively and question unfolding events. His commitment to the post-dramatic principle is evident in his theatrical innovations, which break conventions and redefine traditional boundaries, transforming the stage into a dynamic space of exploration.

Gombrowicz's „Yvonne, Princess of Burgundy“ serves as a prime example for analyzing post-dramatic elements. Employing absurdity, non-linear narrative, and multiple perspectives, Gombrowicz makes a significant contribution to the evolution of post-dramatic literature. His exploration of absurdity, fragmentation, and multiplicity of perspectives aligns with the essence of the post-dramatic movement,

ushering in innovative storytelling techniques that push literature and theater beyond traditional dramatic forms.

In „Yvonne, Princess of Burgundy“, Gombrowicz offers a reinterpretation of the well-known „Cinderella“ story, merging his favored genres of grotesque, tragifarce, and parody. Through this fairy tale format, he conveys a poignant message about the brutality of governance and the propensity of the powerful to oppress the weak without just cause, often merely for their amusement.

The play „Yvonne, Princess of Burgundy“ has seen numerous stagings in various cities and countries, showcasing its universal appeal and adaptability. Renowned figures such as Swedish director Ingmar Bergman and Norwegian theater director Alf Sjöberg have each provided unique interpretations, highlighting the play’s ability to resonate across different cultural contexts. Additionally, composers Boris Blacher and Philip Bußmann created operatic adaptations, further expanding the play’s artistic expression. Productions by directors Alla Sigalova and Vladimir Mirzoev in the Russian theater scene have been praised for their modern and innovative approaches. These diverse adaptations not only honor Gombrowicz’s legacy but also enrich the global theater landscape, cementing the play’s status as a significant and enduring work in theatrical history.

In the words of the author himself, the discussed play explores themes of „liberation from theatricality“ and the futile rebellion against restrictive norms. Gombrowicz’s work embodies grotesque and parody, echoing elements of surrealism while maintaining a humorous distance from collective artistic movements. His poetic strategy revolves around intellectual provocation and scandal, embracing contradictions and mystifying the audience with absurdity. Through complex characters burdened by stereotypes, Gombrowicz crafts a collage-like world. He suggests that the essence of writing lies in „entering the realm of dreams“ and allowing the narrative to evolve „with its logic“. By adhering to the principles of dreams, writers seek to uncover insights into existential quandaries through the symbolism and myths inherent in „the dreams of humanity“.